ღიჭერთი

კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში

2022

ლიბერთის მისიაა - გავაუმჯობესოთ ადამიანების, მათი ოჯახებისა და ბიზნესის ცხოვრება საქართველოში.

ლიბერთი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია, რომელიც 1,7 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირსა და 50 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურება.
ბანკის აქტივები **3 მლრდ ლარს** შეადგენს და ბანკის მიერ დასაქმებულია 5 214 თანამშრომელი. ლიბერთი, ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ყველაზე ფართო ქსელით: 360-ზე მეტი მომსახურების ცენტრით, **632 ბანკომატით**, 700-ზე მეტი თვითმომსახურების და 7000 POS ტერმინალით საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში. განვითარებული და ძლიერი ინფრასტრუქტურის გარდა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ციფრული სერვისები და დისტანციური მომსახურება.

ლიბერთის მისიაა - გავაუმჯობესოთ ადამიანების, მათი ოჯახებისა და ბიზნესის ცხოვრება საქართველოში. 2022 წლის განმავლობაში ბანკის მომხმარებლებს მრავალი საინტერესო და სასარგებლო სიახლე შევთავაზეთ როგორც პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე საზოგადოებისთვის სასარგებლო და მდგრადი ცვლილებების მომტანი პროექტებითა და პროგრამებით.

2022 წელს, უნივერსალურ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოყალიბების გზაზე, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პორტფელის დივერსიფიკაციაა, მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით საგრძნობლად გავიზარდეთ და გვეამაყება 50 000-ზე მეტი დაფინანსებული მეწარმე, ფერმერი თუ საოჯახო ბიზნესი, რომელთაც შესაძლებლობა მივეცით გაზარდონ საკუთარი ბიზნესი და წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

1.7 მლნ მომხმარებელი

632 ბანკომატი

₾ 3 მლრდ აქტივები

7000 POS ტერმინალი

ჩვენთვის საამაყოა, რომ ვრჩებით უფროსი თაობის მომსახურე ფინანსურ ინსტიტუტად. სწორედ უფროსი თაობის მომხმარებელზე ზრუნვის ფარგლებში, ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად შევქმენით ლოიალობის ისეთი უნიკალური პროგრამები, რომლებიც მათთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის სამედიცინო სერვისებს, მედიკამენტებსა თუ პროდუქტებს. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში, 2019 წლიდან დღემდე, ჩვენმა მომხმარებლებმა ჯამურად **10 მილიონ ლარზე** მეტი დაზოგეს.

2022 წლიდან, რეალობად იქცა თანასწორი შესაძლებლობების იდეა და ლიბერთის გუნდმა შშმ პირების მისაწვდომობის გრძელვადიანი სტრატეგია შეიმუშავა, რომლის იმპლემენტაციაც გაგრძელდება მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

გვერდით ვედექით სოლიდარობისა და ზრუნვის სურვილით გაერთიანებულ ადამიანებს და ჩვენი წვლილი შევიტანეთ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერის მნიშვნელოვან საქმეში.

ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარ მიზნად ადამიანებისთვის მდგრადი შესაძლებლობების გაჩენა დავისახეთ და ამ მიზნით შევქმენით კორპორაციული პასუხისმგებლობის ახალი სტრატეგია, რომლის მთავარი მიმართულებებია: **განათლების ხელშეწყობა, ცოდნის გაზიარება და ცნობიერების ამაღლება.**
ჩვენ გვჯერა, რომ განათლება ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა თავად შექმნას საკუთარი, მდგრადი და თავისუფალი მომავალი.

განათლება თავისუფლებისთვის **ღიაერთი**

ლიბერთი
განათლებისთვის

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

> **ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი** მნიშვნელოვნად ზრდის ასობით სკოლის მოსწავლის მოტივაციას ისწრაფოდნენ ახალი აღმოჩენებისაკენ.

კონკურსი მიზნად ისახავს უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებას და დაინტერესების გაზრდას საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) დარგების მიმართ.

2022 წელს, კონკურსს 12 ფინალისტი გუნდი ჰყავდა თბილისის, ახალციხის, ქუთაისის, სენაკის, ბათუმის და გორის სკოლებიდან, რომლებმაც პროექტები კოსმოსისა და ავიაციის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, ენერგეტიკისა თუ ტრანსპორტის დარგებში განავითარეს.

განათლება თავისუფლებისთვის

ღიპვერთი

მესამე ადგილზე გასული გუნდი - „Mad Scientist' ლიბერთის დაფინანსებით ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN), შვეიცარიაში გაემგზავრება. 'Mad Scientist' გუნდი, თბილისისა და გორის სკოლების მოსწავლეებისგან შედგება და შექმნა ინოვაციური პროექტი - „უნივერსალური მეგობარი სახლი', რომელიც შშმ პირებს გაუადვილებს სახლსა და სხვა სივრცეებში უსაფრთხოდ გადაადგილებას.

2014

კონკურსი ტარდება 2014 წლიდან

2500 მონაწილე

96 იდეის პროტოტიპი 8 წლის განმავლობაში

საერთაშორისო სამეცნიერო ბანაკებში გაემგზავრა 160 მოსწავლე

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის

> **ლიბერთის ფინანსური განათლების პროგრამა** ახალგაზრდებს დაეხმარება შექმნან წარმატებული და პასუხისმგებლიანი ბიზნეს კომპანიები.

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE) პროექტი არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელსაც ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით ახორციელებს მერსი ქორფსის წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) .
პროექტის სტრატეგიული პარტნიორია ლიბერთი ბანკი, პროექტს ასევე მხარს უჭერს ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

RDYE პროექტი საქართველოს ოთხი რეგიონის 18 მუნიციპალიტეტში, განხორციელდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას,

განათლება თავისუფლებისთვის ლიბერთი

ასევე სასოფლო-სამეურნეო და არა-სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

ლიბერთის გუნდმა სპეციალურად პროექტის სასწავლო პროგრამისთვის შექმნა ფინანსური წიგნიერების სასწავლო მოდული, რომელსაც პროგრამის ფარგლებში 1500 ახალგაზრდა გაივლის. ფინალში გადასულ 50 ახალგაზრდა მეწარმეზე კი გაიცემა გრანტები საკუთარი ბიზნეს პროექტების განხორციელებისათვის.

1846
რეგისტრირებული მონაწილე

369 იდეა

704

გაიარა პირველი ეტაპის ტრენინგი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

ლიბერთი ყოველწლიურად მხარს უჭერს გლობალურ კამპანიას - 'მასწავლებლის ეროვნული ჯილდო' და ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

განათლება თავისუფლებისთვის ღიპვერთი

2017 წლიდან პროექტის პარტნიორია ლიბერთი

6 ჯილდოს მფლობელი მასწავლებლი

პარტნიორობის

6 წელი

676 განაცხადი

3364

ჯილდოზე წარდგენილი მასწავლებელი

მონაწილეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან

მზიურმცოდნე

2022 წელს, ახალი საგანმანათლებლო პროექტი "მზიურმცოდნე" განხორციელდა ლიბერთის მხარდაჭერით. ყოველ შაბათ-კვირას 15 სკოლის მოსწავლე, სპეციალურად მათთვის შექმნილ პროგრამაში ჩაერთო. პროგრამის მიზანი იყო ბუნების, ეკოლოგიის, ცხოველებზე ზრუნვისა და ინკლუზიური გარემოს შესახებ ცოდნის გაღრმავება.

ახალ საგანმანათლებლო პროექტს 'მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს' მფლობელი - ხათუნა რაზმაძე უძღვებოდა.

შემეცნებითი აქტივობების დასრულების შემდეგ, პატარა მონაწილეებს „მზიურმცოდნის" საპატიო წოდება და კურსის დამთავრების დამადასტურებელი სამკერდე ნიშნები გადაეცათ.

პროექტი განხორციელდა ინკლუზიურ კაფე 'მზიურის' ინიციატივით.

განათლება თავისუფლებისთვის ლიბერთი

ცოდნის გაზიარება

2022 წელს, ლიბერთის თანამშრომლებმა სხვადასხვა ტიპის კონსულტაცია, სწავლება ჩაატარეს როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამ პერიოდში, სწავლება გაიარა 1 126-მა ადამიანმა.

სასწავლო მიმართულებებს შორის იყო Excel, Power BI, SQL, პროექტების მართვა, ფინანსური ანალიზი, „ინსპირაციული ლიდერობა“, გაყიდვები და მართვა, გაყიდვები და მოლაპარაკება, სტრესის მართვა, ემოციური ინტელექტი, ეფექტური კომუნიკაცია, უკუკავშირი და ფინანსები.

განათლება თავისუფლებისთვის

1126 გადამზადებული ადამიანი

55%

გადამზადებულთა 55% ქალი

„Craft Your Future Career“

ლიბერთის უკვე ორი წელია ეხმარება სტუდენტებს პირველი კარიერული ნაბიჯების გადადგმაში პროგრამით **“Craft Your Future Career”.** პროგრამის მიზანია, წამყვანი უნივერსიტეტებიდან ნიჭიერი სტუდენტების დაინტერესება და მათთვის პირველი კარიერული ნაბიჯების გადადგმაში ხელ-შეწყობა. პროგრამის ფარგლებში სტუდენ-ტები მოკლე დროში შეძლებენ საჭირო კვალიფიკაციის მიღებას, იმ უნარების გამომუშავებას, რაც პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში დაეხმარებათ.

2022 წლის განმავლობაში სტუდენტები, ლიბერთის სტაჟირების პროგრამის გავლის შემდეგ დასაქმდნენ ფინანსების, რისკების, კორპორატიული ბანკინგისა და IT მიმარ-თულებებით.

განათლება თავისუფლებისთვის ლიბერთი

ლიბერთი ქალთა გაძლიერებისთვის

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ლიბერთის კორპორაციული პასუხის-მგებლობის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ამიტომ, აქტიურად ვთანამშრომლობთ გაეროს ქალთა ორ-განიზაციასთან UN Women.

ლიბერთის სასწავლო ცენტრი ჩართულია UN Women საქართველოსა და ქალთა სათემო აკადემიის მიერ ორგანიზებულ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ქალების გაძლიერებას მათთვის ახალი უნარების შეძენის გზით. სასწავლო პროგრამა მოიცავს ფინანსურ აღრიცხვას, ეფექტიან კომუნიკაციას, ადამიანური რესურსების მართვას და იმ საგნებს, რომელიც ქალ მეწარმეებს დაეხმარებათ საკუთარი ბიზნესის მართვაში.



განათლება ქალთა თავისუფლებისთვის ღირებული

300

მეწარმე ქალი

ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი“

ლიბერთი 2021 წლიდან გულშემატკივრობს ქალთა საფეხბურთო გუნდს – ‘ლანჩხუთი’.

ლიბერთის მიზანი ქალთა გაძლიერებასთან ერთად, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევაა.

ლიბერთის თანამშრომლები 'ქსკ ლანჩხუთს' მთელი წლის განმავლობაში აქტიურად გულშემატკივრობდნენ საქართველოს ჩემ-პიონატზე.

ჩვენთან ერთად კლუბი საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამასთან, საქართველოს ქალთა თასიც მოიპოვა.

ქსკ ‘ლანჩხუთის’ ორი ფეხბურთელი – ხატია ჭყონია და ეთერ სულაშვილი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ.

განათლება თავისუფლებისთვის ღირებული

დიდი სტიმულის მომცემი იყო გუნდის გადასვლა ჩემპონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე ხორვატიაში.

ლიბერთი
უფროსი
თაობისთვის

MY DOC
მოძრავი კლინიკა

ლიბერთის ახალი პროექტი, რომელიც უფროსი თაობის მომხმარებლების საჭიროებებზეა მორგებული, 2022 წლის გაზაფხულიდან დაიწყო.
თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა მოძრავმა კლინიკამ - MyDoc, ლიბერთის ექსპრეს მანქანებთან ერთად 167 სოფელი მოიარა და ლიბერთის 1 660 მომხმარებელს უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწია გულ-სისხლძარღვოვან და სასუნთქი გზების დაავადებებზე მაღალტექნოლოგიური კვლევების მიმართულებით.

განათლება თავისუფლებისთვის ლიბერთი

ამ პროექტით, ლიბერთიმ მიიღო საერთაშორისო აღიარება და გახდა **Global Compact Awards 2022** გამარჯვებული.

სარგებელი სოციალური ბარათის მფლობელებისთვის

2019 წლიდან, ლიბერთი ახორციელებს უნიკალურ ლოიალობის პროექტს სოციალური ბარათების მფლობელებისთვის.

ამ პარტნიორობის ფარგლებში, ლიბერთის უფროსი თაობის მომხმარებლები და სოციალური ბარათის სხვა მფლობელები განსაკუთრებული პირობებით სარგებლობენ. მათ შესაძლებლობა აქვთ ისეთ ობიექტებში როგორიცაა, ფარმადეპო, ნიკორა, ევექსი კლინიკები, მეგალაბი, თეატრები და სხვა ობიექტებში ისარგებლონ სპეციალური ფასებით.

2019 წლიდან დღემდე, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში, მომხმარებლების მიერ ჯამურმა დაზოგილმა თანხამ 10 609 239 ლარი შეადგინა.

განათლება ერთ-ერთ თავისუფლებისთვის ლიბერთი

12
პარტნიორი კომპანია

სამედიცინო სერვისები

აფთიაქები

სავაჭრო ობიექტები

თეატრები

₾ 10 609 239
მომხმარებლების მიერ დაზოგილი ჯამური თანხა

ლიბერთი თანაბარი შესაძლებლობებისთვის

შშმ პირთა მისაწვდომობის პროექტი

2022 წელს ლიბერთიმ დაიწყო შშმ პირთა მისაწვდომობის პროექტი, რომელიც დაფუძნებულია შშმ პირთა გაეროს კონვენციის სტანდარტებზე და მისი მიზანია შშმ პირებისათვის თანაბარი შესაძლებ-ლობების უზრუნველყოფა საფინანსო სექტორთან ურთიერთობისას.

განათლება თავისუფლებისთვის ღიზვერთი

პროექტის პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანების უფლებებისთვის“.

ლიბერთის აქვს სურვილი გახდეს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს ბანკის გლობალური პოლიტიკის ჭრილში გაი-აზრებს; შშმ პირთა უფლებების დაცვას მიუდგება როგორც სისტემურ ამოცანას, რომლის საბოლოო მიზანიც არის თანასწორობის უზრუნველყოფა და მაგალითს მისცემს სხვა კომპანიებს საქართველოში.

პროექტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა გაწერილია 3 წლის პერიოდზე.

პროექტის ძირითადი მიმართულებები

ფიზიკური მისაწვდომობის გაუმჯობესება

სერვისების გაუმჯობესება

თანამშრომლების გადამზადება

შშმ პირების დასაქმება

ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა თემასთან დაკავშირებით

ადვოკატირების პროცესი არასამთავრობო სექტორის ჩართულობით

ქველმოქმედება

უკრაინა

2021 წლის თებერვალში გაიხსნა საქველმოქმედო ანგარიში უკრაინის დასახმარებლად, რომელზეც ლიბერთის თანამშრომლების სახელით განთავსდა 50 000 ლარი. ხოლო, ანგარიშზე შეგროვებული თანხა 92,224 ლარი გადაირიცხა წითელი ჯვრის ანგარიშზე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, უკრაინის საელჩოსთან შეთანხმებით.

საქართველოში მყოფი უკრაინელი მოქალაქეების მხარდასაჭერად, ლიბერთის ყველა ფილიალში უკრაინის ნებისმიერი მოქალაქისათვის საერთაშორისო ფულადი გზავნილებით სარგებლობა შესაძლებელი იყო საკომისიოს გარეშე.

ლიბერთის მხარდაჭერით, ირა კოხრეიძის ინკლუზიური სპექტაკლის "ახალი თამაშის" პრემიერა გაიმართა. სპექტაკლი მიზნად ისახავდა უკრაინელი სსსმ ბავშვების დახმარებას და გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხაც მათ ფონდში გადაირიცხა.

განათლება თავისუფლებისთვის ღიჩვერთი

სოლიდარობის ფონდი

2014 წლიდან ბანკი მონაწილეობს სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერის პროგრამაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს 22 წელზე უმცროსი ონკოლოგიური დაავადების მქონე ახალგაზრდების დახმარებაზე. ეს დახმარება მოიცავს საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანადაფინანსებას, რაც საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი (მაგალითად, ღეროვანი უჯრედების გადანერგვა) და აგრეთვე, საქართველოს ფარგლებში მკურნალობის დაფინანსებას, რაც სცდება ჯანდაცვისა და პირადი დაზღვევის კომპანიების პროგრამების ფარგლებს.

განათლება თავისუფლებისთვის

ღიჩვერთი

მოხუცთა პანსიონები და ბავშვთა თავშესაფრები

2017 წლიდან, ლიბერთი ყოველწლიურად იღებს მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრებისა და მოხუცთა პანსიონების კომუნალური გადასახადების (გაზი, ელექტროენერგია, წყალი) სრულად გადახდის პასუხისმგებლობას.

54-ზე

მეტი დარეგისტრირებული თავშესაფარი ქვეყნის მასშტაბით

განათლება ... თავისუფლებისთვის

ღიზერთი

300-ზე

მეტ ბენეფიციარს

ლ4 ელნ-ელ

კომუნალური გადასახადების ჯამური თანხა

“ლიბერთი გულით“

ლიბერთის თანამშრომლების საქველმოქმედო ფონდი

ლიბერთის გუნდის ინიციატივით შექმნილი ფონდის მიზანია ლიბერთის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება.

განათლება თავისუფლებისთვის
ლიბერთი

ფონდი დაარსებიდან დღემდე დაეხმარა 160 თანამშრომელს

ჯამურად გაიცა

322 869

ლიბერთი გარემოზე ზრუნვისთვის

ლიბერთი გარემოზე ზრუნვისთვის

ლიბერთის 2021 წლიდან აქვს გარემოს-დაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება როგორც ბანკის საოპერაციო საქმიანობაზე, ასევე კრედიტორებზე, რაც ხელს უწყობს ჩვენს მსესხებლებში ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებასა და საქმიანობის ევრო სტანდარტებით განხორციელებას.

"აწარმოე საქართველოსთან" ერთად მონა-წილეობას ვიღებთ მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროექტში, რომელიც გულისხმობს ეკომეგობრული საქმიანობების დაფინანსებას საშეღავათო პირობებით. ეს, ერთის მხრივ, ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს გარემოსთვის მეგობრული საქმიანობების წახალისებას და, მეორეს მხრივ, ხდება დაინტერესებული მხარეების (სოფლის მეურნეობის დარგში, მცირე და დიდი წარმოებების დარგში) კვალიფიკაციის ამაღლება.

განათლება თავისუფლებისთვის

ლიბერთიმ 2022 წელს განახორციელა სათბური გაზების ემისიების (GHG Emissions) ინვენტარიზაცია, რაც ასევე საფუძვლად დაედება ყოველდღიურ ოპერირებაში ამ ემისიების შემცირების ალტერნატივების მოძიებას.

საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით - European Investment Bank, U.S. International Development Finance Corporation 2022 წელს გან-ხორციელდა ბანკის თანამშრომლების ტრენინგები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების შეფასების კუთხით.

2022 წელს განხორციელებული ყველა პროექტი და პროგრამა **ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და თანამშრომლების ძალისხმევის შედეგია** და ამ ანგარიშის ფარგლებში გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ მათ ჩართულობის, მუდმივი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

2022 | ღიპერთი